



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის, 5 ექტემბრის,
 № 740 დადგენილებით
მოდიფიცირდა
 სტუ-ს აკადემიურ საბჭოს
 სხდომაზე 2018 წლის
 2 აპრილის დადგენილება
 № 01-05-04/95

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

დიზაინი

Design

ფაკულტეტი

დიზაინის საერთაშორისო სკოლა

International Design School

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ნიკოლოზ შავიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ხელოვნების ბაკალავრი დიზაინში
 (Bachelor of fine arts in design)

სწავლების ენა

ინგლისური

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა "დიზაინი" ოთხნობიანი პროგრამაა. იგი მოიცავს ჰუმანიტარულ, სოციალურ და ტექნიკურ მეცნიერებათა სასწავლო კურსების ფართო სპექტრს; პროგრამა მოიცავს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს და თავისუფალ კომპონენტებს. ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების ერთობლიობა ყურადღებას ამახვილებს დიზაინის ბუნებაზე, როგორც კულტურულ, სოციალურ და ტექნოლოგიურ პრაქტიკულ საქმიანობაზე, რაც მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის მიერ შექმნილ და ასევე ბუნებრივ გარემოში ნამოჭრილ სულ უფრო აქტუალურ კითხვებს.

პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისაგან, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სასწავლო კურსები - 210 კრედიტი (მათ შორის არჩევითი კურსები - 71 კრედიტი, დიზაინის პრაქტიკა - 5 კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტები - 30 კრედიტი.

პირველი სემესტრი შედგება 33 კრედიტისგან, მეორე სემესტრი ასევე შედგება 33 კრედიტისაგან. შესაბამისად პირველი წელი მოიცავს 66 კრედიტს.

მესამე და მეოთხე სემესტრები შედგება 30-30 კრედიტისგან, ამიტომ მეორე წელი მოიცავს 60 კრედიტს.

მეხუთე და მეექვსე სემესტრი შედგება 30 და 29 კრედიტისაგან, შესაბამისად მესამე წელი მოიცავს 59 კრედიტს.

მეშვიდე და მერვე სემესტრი შედგება 25 და 30 კრედიტისაგან, შესაბამისად მეოთხე წელი მოიცავს 55 კრედიტს.

ერთი კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელიც შედგება საკლასო და დამოუკიდებელი სამუშაოებისგან. სასწავლო წელი (2 სემესტრი) თითოეული სემესტრის 15 კვირა ეძღვნება სწავლებას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების კომპონენტებში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით.

საბოლოო გამოცდის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, მინიმუმ 5 დღის ვადის გასვლის შემდეგ, სტუდენტს ექნება ერთ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.

პირველი წელი საზოგადოების, კულტურის, გარემოს და ამ კონტექსტში დიზაინის ბუნების, ადგილისა და როლის ფართოდ გაცნობას ისახავს მიზნად. სტუდენტი ეცნობა ხატვის პრინციპებსა და არსებულ გამოცდილებას, მის წარმოჩენას მედიის ფართო სპექტრის გამოყენებით. ხატვა ისწავლება ტექნიკურ ხაზვასთან, მოდელირებასთან, პერსპექტივითან და დიზაინერული ნამუშევრის წარმოდგენის სხვა საშუალებებთან გვერდიგვერდ. პირველ სემესტრში ხელოვნების ისტორიის საკითხების თანმიმდევრობა სტუდენტს ხელოვნების განვითარების გლობალურ მოვლენებს აცნობს უძველესი დროიდან დღევანდელობამდე. პირველი წლის 66 კრედიტიდან 56 მოიცავს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, ხოლო 10 კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებს.

მეორე წელი აღრმავებს მოსწავლეების ცოდნას დიზაინში ისტორიული, კულტურული და პროფესიონალური კუთხით. ამ წლის დიზაინის სტუდიები ეძღვნება დიზაინურ წვრთნებს, დიზაინის „ელემენტების“ შესწავლას. სტუდენტები ეცნობიან ფუნდამენტურ პროცესებს, ძირითად მეთოდებს, ხელსაწყოებსა და მასალებს, რომლებიც გამოიყენება დიზაინის პროექტებზე მუშაობისას. სტუდენტი დიზაინის სხვადასხვა სფეროში იძენს ცოდნას და უნარებს და სწავლობს კომპიუტერული (CAD) პროგრამების გამოყენებას. მეორე წლის 60 კრედიტიდან 50 მოიცავს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, ხოლო 10 კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებს.

მესამე წელი გამიზნულია დიზაინისა და პროფესიული ცოდნის სხვა სფეროებში მრავალმხრივი გამოცდილების მისაღებად, რასაც თან ერთვის რიგი გარემოსდაცვითი, ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისა, რომლებიც ქმნიან ინტეგრირებულ საფუძველს დიზაინის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ასპექტების გაგებისათვის. სტუდენტი სრულყოფს კომპიუტერული პროგრამების ცოდნას და უნარებს, რათა დიზაინის სხვადასხვა სფეროებში

მოღვაწეობისათვის.

მესამე წლის დიზაინის სტუდიები დაფუძნებულია ანალიზსა და სინთეზზე. სპეციალიზირებული კურსების ფარგლებში, მათი პროექტების სხვადასხვა ასპექტები მუშავდება. ამ აკადემიური წლის განმავლობაში დიზაინის შესწავლა ფართოდ განიხილება დიზაინ აზროვნების კონტექსტში. სტუდენტებს აქვთ საშუალება, შეისწავლონ ინტერიერის და ავეჯის, პროდუქტის, ტრანსპორტისა და ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის კურსები, რომლებიც შეიძლება აირჩიონ ძირითადი არჩევითი სასწავლო კურსებიდან. ეს წელი მიზნად ისახავს დიზაინის სასწავლო პრაქტიკას ხის და ავეჯის საწარმოო ორგანიზაციებში, სადაც სტუდენტებს აქვთ რეალური შეხება დიზაინურ აქტიუობასთან. მესამე კურსის 59-დან 25 კრედიტი მოიცავს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს, ხოლო 34 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსებს. სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ დიზაინის სტუდიის ძირითადი სპეციალობის კურსები უწყვეტად უკავშირდება ერთმანეთს სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მეოთხე წელი აღრმავებს დიზაინის შესწავლას, ინტერიერის, პროდუქტის დიზაინის ან ვიზუალური კომუნიკაციების კონტექსტში. სტუდენტები იძენენ ცოდნას ტექნოლოგიური, სტრუქტურული და პროფესიული მიმართებით; მეოთხე აკადემიური წლის პირველ სემესტრში ისინი ასრულებენ ინოვაციური დიზაინის პროექტს და ამავდროულად შეუძლიათ აირჩიონ სასწავლო კურსები თავისუფალი კომპონენტების ჩამონათვლიდან, რომლებიც მოიცავს ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და სოციოლოგიურ სფეროებს. სწავლების მე -8 სემესტრში სტუდენტები უფრო მეტს სწავლობენ დიზაინერული საქმიანობის სფეროდან და ასრულებენ საბაკალავრო ნამუშევარს დიზაინის პროექტის სახით. მეოთხე სასწავლო წლის 55 -დან 25 კრედიტი მოიცავს ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 30 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს პროგრამაში მოცემული თავისუფალი კომპონენტების სიიდან არჩეული სასწავლო კურსების წარმატებით ათვისების შედეგად.

სწავლების საბოლოო საფეხურს წარმოადგენს საბაკალავრო სტუდიის პროექტის პრეზენტაცია, რომლის დროსაც მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სწავლის დროს შექმნილი მრავალმხრივი ცოდნა. პროექტი უნდა წარმოადგენილ იქნეს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ინტერდისციპლინარული საგამოცდო კომისიის წინაშე. კომისია უნდა შედგებოდეს გამომცდელთაგან, რომლებსაც აქვთ სათანადო გამოცდილება და ცოდნა საბაკალავრო სტუდიის პროექტის ადექვატური შეფასებისათვის. ინფორმაცია საბაკალავრო სტუდიის პროექტის პრეზენტაციის პროცედურების, მისი ფორმის, შეფასების სისტემის, კრიტერიუმების და კრედიტების რაოდენობის შესახებ მოცემულია შესაბამის სილაბუსში.

პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების ცოდნისა და უნარების გაღრმავებას ინტერიერისა და ავეჯის, პროდუქტის, ტრანსპორტისა თუ ვიზუალური კომუნიკაციის დიზაინისა და სხვა, დიზაინთან ასოცირებულ მომიჯნავე დარგებში. პროგრამა სტუდენტებს აძლევს აგრეთვე ფართო განათლებას დიზაინთან დაკავშირებული სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტების შესახებ. ამ პროგრამის საშუალებით სტუდენტი გაივლის სპეციალიზირებულ სასწავლო პროგრამას და მიიღებს გამოცდილებას კონკრეტულ სფეროებში, კერძოდ, მოდელირება-პროექტირებასა და სხვადასხვა პროცესებში, ერგონომიულ და მდგრადი დიზაინის მეთოდოლოგიაში; მიიღებს აგრეთვე ცოდნას მასალებისა და წარმოების პროცესების, პროფესიული პრეზენტაციების შესახებ, სადაც საერთაშორისო სტანდარტების დამაკმაყოფილებელ მრავალგვარ ტექნიკას გამოიყენებს; სტუდენტი გაიღრმავებს ცოდნას მარკეტინგის, მართვისა და წარმოების მიმართულებით. სტუდენტი აირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებიც დაეხმარება მას აიმაღლოს ცოდნა თავის დარგში კომპიუტერული პროგრამირების, ვებდიზაინისა და მობილურის აპლიკაციების განვითარების, ანიმაციისა და თამაშების დიზაინის, ეკოლოგიური ფსიქოლოგიისა და ავეჯის წარმოების თუ ავტონინჟინერიის კუთხით. პროგრამის კურსდამთავრებული დაეუფლება იმ აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, რომელიც წარმატებული პრაქტიკოსი დიზაინერისთვისაა საჭირო იმისთვის, რომ ამ დარგის განვითარებაში და ზოგადად, დიზაინერთა საქმიანობაში პოზიტიური წვლილი შეიტანოს. ამასთან, პროგრამის კურსდამთავრებული მტკიცე აკადემიურ საფუძველს შეიქმნის მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

- ცოდნა და გაცნობიერება -

დიზაინისა და მომიჯნავე დარგების საფუძვლიანი ცოდნა-გაცნობიერება მოიცავს შემდეგი სფეროების ცოდნასაც: ვიზუალური კულტურისა და მის ისტორიას; სოციალური მეცნიერებების; თეორიული მექანიკის-სტატიკასა და დინამიკას-ავტომანქანებისთვის; მათემატიკისა და სტატისტიკის; ერგონომიკის პრინციპებისა და ეკოლოგიური ფსიქოლოგიის; დიზაინის მდგრადი განვითარებისა და მენარმეობის/მრეწველობის პრინციპებისა და კონცეფციების. ამას გარდა,

სტუდენტი შეისწავლის:

- ხელოვნების ისტორიასა და თეორიას, ხელოვნების მიმართულებების ისტორიას, ხელოვნების განსაზღვრებებსა და ინტერპრეტაციებს განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე;
- დიზაინის ისტორიასა და თეორიას, რომელიც საფუძვლად უდევს დიზაინის სფეროს მიმართულებებს; და დიზაინისა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთმომქმედების უახლეს ინტერპრეტაციებს;
- ფილოსოფიის ძირითად კონცეფციებსა და თეორიებს ანტიკური დროიდან თანამედროვეობამდე;
- ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლებსა და ფსიქოლოგიურ უნარებს, ისევე როგორც გარკვეული სახის შემლუღულობას მუშაობისას;
- დიზაინის დარგებში ფართოდ გამოყენებული მასალების გამოყენებასა და ამ მასალების თვისებებს;
- დიზაინის დარგებთან დაკავშირებული მარკეტინგული მართვის პრინციპებს;
- კომპიუტერული ენებისა და პრგრამირების პრინციპებს.

სტუდენტმა უნდა შეისწავლოს და გააცნობიეროს აგრეთვე:

- სადიზაინო დარგების როლი საზოგადოებაში, და გააცნობიეროს, რომ დიზაინი სოციალური მეცნიერებებისგან დამოუკიდებლად განისაზღვრება;
- ანთროპოლოგიის ფუნდამენტური პრინციპები და საკითხები, იმდენად, რამდენადაც ისინი დიზაინის პროექტირების პრაქტიკას ეხებიან;
- ჰარმონიული დიზაინის ფუნდამენტური კონცეფციები და თემები, მეთოდები და უახლესი ტექნოლოგიები;
- წარმოების ძირითადი ტექნოლოგიები და დიზაინთან დაკავშირებული ფაქტორები;
- სამენარმეო საქმიანობის მთავარი საკითხები;
- ადამიანთა ურთიერთმომქმედების საფუძვლები; და ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ურთიერთობები მის საკუთარ გარემოსთან;
- საავტომობილო სისტემა და მისი განვითარება; ავტომობილის მუშაობის კვლევისთვის საჭირო ძირეული რაოდენობრივი მეთოდები.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მოდელირება-პროექტირების, დიზაინის ანალიზისა და კრიტიკული განხილვის პროცესებში მიღებული ცოდნის გამოყენება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით; ტექნიკური პრობლემების მოგვარებისთვის მონაცემების ანალიზი; ზოგადი და სპეციალიზირებული დიზაინისა და მეთოდების, ერგონომიკაში მეცნიერული კვლევების გამოყენება დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად; კომპიუტერული პროგრამირების, ვებ და კომპიუტერული თამაშების დიზაინში მიღებული ცოდნის გამოყენება ახალი პროდუქციის შესაქმნელად და სისტემის ინოვაციისთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება:

- ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, სამუშაო ადგილებისთვის დამახასიათებელი საერთო რისკები და პირველადი დახმარების აღმოჩენის პრინციპები;
- მათემატიკა- მექანიკაში სტატიკისა და დინამიკის პრობლემების გადასაჭრელად და წარმოებისა და სოციალურ მეცნიერებებში ჩატარებული კვლევების მონაცემების ანალიზისთვის;
- ტიპოგრაფია -ორგანზომილებიანი საკომუნიკაციო ამოცანების შესასრულებლად;
- დიზაინის ფუნდამენტური მეთოდოლოგიისა და პროცესების, იმ მიზნით, რომ ინოვაციურად გადაიჭრას დიზაინთან დაკავშირებული რთული და ბუნდოვანი პრობლემები;

- ერგონომიკის დისციპლინა და მისი მეთოდები და პროცესები იმ მიზნით, რომ გადაიჭრას პროექტირების პრობლემები;
- ხის-მერქნის თვისებები და ხეზე მუშაობის ტრადიციული ტექნიკა ავეჯის დამზადებისთვის.

ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენება:

- სპეციალიზირებული და უახლესი სადიზაინო მეთოდები და პროცესები დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად კონკურენტუნარიანობის ამალღების მიზნით, ერგონომიული და ეკოლოგიური მდგრადობის კრიტერიუმებისა და სხვა რთული საკითხების გათვალისწინებით;
- საწარმოო ტექნოლოგია პროექტირებული პროდუქციისა და სისტემების ოპტიმიზაციისთვის;
- სამწარმო-ბიზნეს პროცესები და ხერხები ახალი პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზების მიზნით;
- დიზაინთან დაკავშირებული რთული თემების შესასწავლი მეთოდები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შესაგროვებლად, მაგალითად, გამოკითხვა/კვლევების, ექსპერიმენტების, საველე კვლევების, კონკრეტული მაგალითის ანალიზის და ა.შ. და მათი გამოყენება დიზაინის თეორიისა და პრაქტიკისთვის;
- კომპიუტერული პროგრამირება, HTML, CSS და SDK კომპიუტერული და მობილური აპლიკაციებისა და ვებგვერდებისთვის;
- გარემოს ფსიქოლოგიის პრინციპები და მეთოდები ადამიანის გასათვალისწინებლად მისივე გარემოში;
- ანიმაციური პროდუქციისა და ელექტრონული თამაშების შესაქმნელად საჭირო ტექნიკური მეთოდები და პროცესები.

- დასკვნის უნარი -

პროგრამის კურსდამთავრებული სოციალური მეცნიერებების ზუსტ მეთოდებს იყენებს მონაცემთა გასაანალიზებლად და დიზაინის პრაქტიკასთან დაკავშირებული თანამედროვე მოვლენების ინტერპრეტაციის მიზნით. ის იყენებს აგრეთვე სამეცნიერო დარგებიდან ათვისებულ ცოდნასა და მეთოდებს, მაგალითად ერგონომიკიდან, ეკოლოგიიდან და სხვ., იმ მიზნით, რომ გამოიტანოს სათანადო დასკვნები და წარმოადგინოს სამოქმედო კურსი.

სტუდენტს შეუძლია:

- სტუდენტს შეუძლია გააანალიზოს საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მომხდარი სერიოზული მოვლენები სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში და გამოიტანოს მათზე ინფორმირებული დასკვნები;
- შეაგროვოს შესაბამისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები დიზაინის ბუნდოვნად დადგენილ პრობლემებზე, გააანალიზოს მონაცემები და ჩამოაყალიბოს საფუძვლიანი დასკვნები შემდგომი მოქმედებისთვის;
- განმარტოს ხარისხობრივი მონაცემები ადამიანის ქცევაზე, რომელიც რთული და მრავალგანზომილებიანია, იმ პროდუქციისა თუ მომსახურებებთან მიმართებაში, რომლებიც ადამიანის სოციალური კონტექსტის ფარგლებშია მოქცეული და ჩამოაყალიბოს საფუძვლიანი დასკვნები;
- გააანალიზოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები დიზაინის ბუნდოვნად განსაზღვრულ და რთულ პრობლემებზე ერგონომიკასა და/ან ეკოლოგიურ მეცნიერებასთან და სხვა დარგებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, და ჩამოაყალიბოს საფუძვლიანი დასკვნები შემდგომი მოქმედებისთვის;
- გააანალიზოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები დიზაინის ბუნდოვნად განსაზღვრულ და რთულ პრობლემებზე იმ მიზნით, რომ დაგვემოს და განახორციელოს შემდგომი მოქმედებები, დიზაინის შესაბამისი მეთოდებისა და პროცესების გამოყენებით დიზაინთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად.

- კომუნიკაციის უნარი -

ლოგიკურად წარმოადგინოს ინფორმაცია ინგლისურ ენაზე რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების გამოყენებით ამ დარგის სპეციალისტებისა თუ არასპეციალისტებისთვის, გამოიყენოს ტექსტები და დიაგრამები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით;

სტუდენტს ექნება უნარი:

- მოამზადოს ტექნიკური ნახაზები, კომპიუტერის დახმარებით შექმნას დიზაინის მოდელები და საერთაშორისო სტანდარტებსა და კონვენციებთან შესაბამისი დოკუმენტაცია, და კომუნიკაცია აწარმოოს თავის კოლეგებსა და პარტნიორებთან და სხვ.;
- კრეატიულად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო ტექნიკის სპექტრი იმ მიზნით, რომ ტექსტური და ვიზუალური ანგარიშები მოამზადოს დიზაინთან დაკავშირებულ პრობლემებზე ინგლისურ ენაზე სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ასახნელად;
- კომპიუტერის დახმარებით შექმნას რთული პროდუქციისა და სისტემების დიზაინის მოდელები საერთაშორისო სტანდარტებსა და კონვენციებთან შესაბამისობაში, მიანდოს თავის კოლეგებსა და პარტნიორებს და სხვ.;
- მოამზადოს მრავალგანზომილებიანი ექსპრესიული დიზაინის პრეზენტაცია მედიისა და უახლესი ტექნიკის გამოყენებით, მიანდოს თავის კოლეგებსა და პარტნიორებს და სხვ.; და გაათვითცნობიეროს დიზაინით დაინტერესებული მხარეები.

- **სწავლის უნარი** -

სხვადასხვა და არაპროგნოზირებად სიტუაციებში განსაზღვროს სწავლის მიზნები, თუ რისი შესწავლა სჭირდება ინდივიდუალურად და ასევე, როგორც გუნდის წევრს; და მიიღოს ზომები ამ მიზნების მისაღწევად;

სტუდენტს ექნება უნარი:

- იფიქროს სადიზაინო მეთოდებისა და პროცესების გამოყენებაზე, ასევე ამ პროცესების შედეგებზე დიზაინის პროექტზე მუშაობისას; და დაადგინოს ის ზომები, რომლებიც პრობლემების გადაჭრის საშუალებას მისცემს.
- შეაფასოს თავისი სასწავლო პროცესი სრულყოფილად და მკაფიოდ; და განსაზღვროს სასწავლო მიზნები/საჭიროებები სამომავლოდ;

- **ღირებულებები** -

გაიზიაროს ღირებულებები, რაც სადიზაინო საქმიანობას ეხება და მონაწილეობა მიიღოს ღირებულებებზე გამართულ სერიოზულ დებატებში, მაგრამ ამავედროულად ყოველთვის უნდა შეძლოს თავისი პოზიციის გადაფასება სხვადასხვა საკითხებზე;

სტუდენტს აქვს უნარი:

- სწორად შეაფასოს, თუ როგორ გავლენას ახდენს დიზაინის შედეგები მომხმარებლებზე და დიზაინით დაინტერესებულ მხარეებზე; ისწრაფვოდეს მათი სარგებლის გაზრდისკენ და მინიმუმადე შეამციროს ნეგატიური ზემოქმედება;
- გულისყურით მიუდგეს მეცნიერებასა და მეცნიერულ მეთოდს, და სწორად შეაფასოს, თუ როგორი რელევანტურია დიზაინის გამოკვლევის მეთოდების, ერგონომიკისა და ჰარმონიული დიზაინის პრინციპების ცოდნა დიზაინერობისთვის ზოგადად;
- პროფესიული დიზაინის იდეას დემოკრატიულად, ღიად და ყოველმხრივ მიუდგეს, მომხმარებლისა და დიზაინით დაინტერესებულ მხარეების საჭიროებების გათვალისწინებით და საჭაროდ ითანამშრომლოს მათთან ორმხრივი სარგებლის მიღების მიზნით, სადაც კი ეს შესაძლებელია;

სტუდენტი აცნობიერებს დიზაინერის პროფესიისთვის საჭირო ეთიკურ და მორალურ მხარეებს და იმ რთულ გამოწვევებს, რომლებიც გარემოს გაუარესებამ და თანამედროვე სოციალურმა პრობლემებმა მოიტანა შედეგად. ამავედროულად მუშაობს ამ პრობლემების დასაძლევად და დიზაინის შედეგების ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად;

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული
 პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება

სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

- 1. დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალღებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- 2. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
- 3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
- 4. ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადანყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
- 5. შემთხვევების შესწავლა (Case study)** – აქტიური პრობლემა-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადანყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტურად აწვითარებს დასაბუთებული გადანყვეტილებების შემზღვეულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადანყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.
- 6. გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
 - შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
 - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
 - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
 - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
- 7. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვანოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

8. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
9. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
10. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვა. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
11. **წერიითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვა.
12. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვა.
13. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას.
14. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დანვრისგან განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
15. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
16. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადანწყვის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.
17. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

- საგამომცემლო და შემფუთველი კომპანიები
- მედია კომპანიები

- სარეკლამო სააგენტოები
- დიზაინერული კომპანიები
- საკონსულტაციო დიზაინერული კომპანიები
- არქიტექტურული საპროექტო და დიზაინ-სტუდიები;

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფს ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ თანდართული დოკუმენტები.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა:

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საკანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი															
			1წელი		2წელი		3 წელი		4 წელი									
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII								
1	ხელოვნება დროში	არ გააჩნია	5															
2	ფილოსოფია და ცნობიერება	არ გააჩნია	4															
3	ხატვა დიზაინისთვის	არ გააჩნია	5															
4	წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია	არ გააჩნია	5															
5	ზოგადი ფიზიკა	არ გააჩნია	5															
6	ხაზვა	არ გააჩნია	4															
7	უცხოური ენა (რუსული) – A 1.1	არ გააჩნია	5															
8	უცხოური ენა (იტალიური)-A 1.1	არ გააჩნია																
9	უცხოური ენა (გერმანული) - A 1.1	არ გააჩნია																
10	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.1	არ გააჩნია																
11	დიზაინი და შრომის უსაფრთხოება	არ გააჩნია		3														
12	საზოგადოება და დიზაინი	არ გააჩნია		4														
13	კალკულუსისა და მათემატიკური სტატისტიკის შესავალი	წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია		5														
14	გრაფიკის და ტიპოგრაფიკის სტუდია	არ გააჩნია		5														
15	სწრაფი ვიზუალიზაცია	არ გააჩნია		4														
16	მოდელირება და პერსპექტივა	ხაზვა		7														
17	უცხოური ენა (რუსული) – A 1.2	უცხოური ენა (რუსული) – A 1.1		5														
18	უცხოური ენა (იტალიური)-A 1.2	უცხოური ენა																

№	საკანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი																	
			1წელი		2წელი		3 წელი		4 წელი											
			სემესტრი																	
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII										
		(იტალიური)-A 1.1																		
19	უცხოური ენა (გერმანული) - A 1.2	უცხოური ენა (გერმანული) - A 1.1																		
20	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.2	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.1																		
21	CAD სტუდია	არ გააჩნია			5															
22	დიზაინის სტუდია I	არ გააჩნია			10															
23	ერგონომიკის შესავალი	არ გააჩნია			5															
24	მასალები და დიზაინი	არ გააჩნია			5															
25	უცხოური ენა (რუსული) - A2.1	უცხოური ენა (რუსული) - A 1.2			5															
26	უცხოური ენა (იტალიური)-A2.1	უცხოური ენა (იტალიური)-A 1.2																		
27	უცხოური ენა (გერმანული) - A2.1	უცხოური ენა (გერმანული) - A 1.2																		
28	უცხოური ენა (ფრანგული)-A2.1	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.2																		
29	დიზაინის სტუდია II	დიზაინის სტუდია I				10														
30	3D ვიზუალიზაცია	არ გააჩნია				5														
31	სოციალურ მეცნიერებათა პრინციპები	არ გააჩნია				5														
32	შესავალი ფოტოგრაფიაში და ვიდეოგრაფიაში	არ გააჩნია				5														
33	უცხოური ენა (რუსული) - A2.2	უცხოური ენა (რუსული) - A2.1			5															
34	უცხოური ენა (იტალიური)-A2.2	უცხოური ენა (იტალიური)-A2.1																		
35	უცხოური ენა (გერმანული) - A2.2	უცხოური ენა (გერმანული) - A2.1																		
36	უცხოური ენა (ფრანგული)-A2.2	უცხოური ენა (ფრანგული)-A2.1																		
37	გრაფიკული რედაქტირება	არ გააჩნია								3										
38	მარკეტინგის საფუძვლები	არ გააჩნია								4										
39	საინჟინრო მექანიკა	არ გააჩნია								4										
40	დიზაინმცოდნეობა	არ გააჩნია								3										
41	ვებ დიზაინი და პროგრამირება	არ გააჩნია																		
42	3D ვიზუალიზაცია ინტერიერისა და პროდუქტის დიზაინისათვის	არ გააჩნია								5										
43	გარემოს ფსიქოლოგია	არ გააჩნია																		
44	კულტურული მიდგომები დიზაინისადმი	არ გააჩნია								3										
45	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის სტუდია I	არ გააჩნია																		
46	პროდუქტის დიზაინის სტუდია I	არ გააჩნია								8										
47	ტრანსპორტის დიზაინის სტუდია I	არ გააჩნია																		

№	საკანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი															
			1წელი		2წელი		3 წელი		4 წელი									
			სემესტრი															
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII								
48	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის სტუდია I	არ გააჩნია																
49	ფოტოგრაფია დიზაინისთვის	შესავალი ფოტოგრაფიაში და ვიდეოგრაფიაში																3
50	ერგონომიკა დიზაინისთვის	არ გააჩნია																5
51	პორტფოლიო და პრეზენტაციის უნარები	არ გააჩნია																3
52	ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება	არ გააჩნია																5
53	ინტერდისციპლინარული პროექტი	არ გააჩნია																5
54	გაფართოებული CAD სტუდია ინტერიერისა და პროდუქტის დიზაინისათვის	3D ვიზუალიზაცია ინტერიერისა და პროდუქტის დიზაინისათვის																5
55	ანიმაციის სტუდია	არ გააჩნია																5
56	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის სტუდია I																8
57	პროდუქტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	პროდუქტის დიზაინის სტუდია I																8
58	ტრანსპორტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	ტრანსპორტის დიზაინის სტუდია I																8
59	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის სტუდია I																8
60	საკონკურსო პროექტი	არ გააჩნია																5
61	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის მდგრადობის სტუდიისთვის	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია																10
62	პროდუქტის დიზაინის მდგრადობის სტუდიისთვის	პროდუქტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია																10
63	ტრანსპორტის დიზაინის მდგრადობის სტუდიისთვის	ტრანსპორტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია																10
64	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის მდგრადობის სტუდიისთვის	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის მომხმარებელზე																10

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი											
			1წელი		2წელი		3 წელი		4 წელი					
			სემესტრი											
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII							
		ორიენტირებული სტუდია												
65	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის												
66	პროდუქტის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	პროდუქტის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის												
67	ტრანსპორტის დიზაინის გამოსასვები სტუდია	ტრანსპორტის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის												10
68	ვიზუალური კომუნიკაციების გამოსაშვები სტუდია	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის												
სემესტრში			33	33	30	30	30	29	15	10				
წელიწადში			66		66		59		25					
სულ			210											

თავისუფალი კომპონენტები:

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი
1	ანთროპოლოგია დიზაინში	არ გააჩნია	5
2	მდგრადი დიზაინის მეთოდოლოგია	არ გააჩნია	5
3	მობილური აპლიკაციების შექმნა	არ გააჩნია	5
4	წარმოების ტექნოლოგიები	არ გააჩნია	5
5	შესავალი კომპიუტერულ პროგრამირებაში	არ გააჩნია	5
6	დიზაინი და მდგრადობა	არ გააჩნია	5
7	მენარმეობა	არ გააჩნია	5
8	გამოყენებითი პროექტი	არ გააჩნია	5
9	კომპიუტერული თამაშების დიზაინი	არ გააჩნია	5
10	ერგონომიული დიზაინის მეთოდოლოგია	არ გააჩნია	5
11	სატრანსპორტო ინჟინერიის საფუძვლები	არ გააჩნია	5
12	ბიზნეს მათემატიკის ელემენტები	არ გააჩნია	5
13	გალრმავებული მოძრავი გრაფიკა და სპეცეფექტები	არ გააჩნია	5
14	ქალაქი და უსაფრთხოება	არ გააჩნია	5
სულ			30

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ხელოვნება დროში	+	+	+	+	+	+
2	ფილოსოფია და ცნობიერება	+	+	+	+	+	
3	ხატვა დიზაინისთვის	+	+	+			+
4	წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია	+	+	+		+	
5	ზოგადი ფიზიკა	+	+	+	+		
6	ხაზვა	+	+	+			
7	უცხოური ენა (რუსული) – A 1.1	+	+		+	+	
8	უცხოური ენა (იტალიური)-A 1.1	+	+		+	+	+
9	უცხოური ენა (გერმანული) - A 1.1	+	+		+	+	
10	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.1	+	+		+	+	
11	დიზაინი და შრომის უსაფრთხოება	+	+		+		
12	საზოგადოება და დიზაინი	+	+	+	+	+	+
13	კალკულუსისა და მათემატიკური სტატისტიკის შესავალი	+	+	+		+	
14	გრაფიკის და ტიპოგრაფიკის სტუდია	+	+		+	+	
15	სწრაფი ვიზუალიზაცია	+	+	+			+
16	მოდელირება და პერსპექტივა	+	+	+			
17	უცხოური ენა (რუსული) – A1.2	+	+		+	+	
18	უცხოური ენა (იტალიური)-A1.2	+	+		+	+	+
19	უცხოური ენა (გერმანული) - A1.2	+	+		+	+	
20	უცხოური ენა (ფრანგული)-A1.2	+	+		+	+	
21	CAD სტუდია	+	+	+			
22	დიზაინის სტუდია I	+	+	+	+	+	+
23	ერგონომიკის შესავალი	+	+		+	+	
24	მასალები და დიზაინი	+	+	+			
25	უცხოური ენა (რუსული) – A2.1	+	+		+	+	
26	უცხოური ენა (იტალიური)-A2.1	+	+		+	+	+
27	უცხოური ენა (გერმანული) - A2.1	+	+		+	+	
28	უცხოური ენა (ფრანგული)-A2.1	+	+		+	+	
29	დიზაინის სტუდია II	+	+	+	+	+	+
30	3D ვიზუალიზაცია	+	+	+			
31	სოციალურ მეცნიერებათა პრინციპები	+	+	+	+		+
32	შესავალი ფოტოგრაფიაში და ვიდეოგრაფიაში	+	+	+			
33	უცხოური ენა (რუსული) – A2.2	+	+		+	+	
34	უცხოური ენა (იტალიური)-A2.2	+	+		+	+	
35	უცხოური ენა (გერმანული) - A2.2	+	+		+	+	+
36	უცხოური ენა (ფრანგული)-A2.2	+	+		+	+	
37	გრაფიკული რედაქტირება	+	+	+		+	
38	მარკეტინგის საფუძვლები	+	+	+	+	+	+
39	საინჟინრო მექანიკა	+	+	+		+	

40	დიზაინსკოდნეობა	+	+	+	+		+
41	ვებ დიზაინი და პროგრამირება	+	+	+		+	
42	3D ვიზუალიზაცია ინტერიერისა პროდუქტის დიზაინისათვის	+	+	+			
43	გარემოს ფსიქოლოგია	+	+	+	+	+	
44	კულტურული მიდგომები დიზაინისადმი	+	+	+			+
45	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის სტუდია I	+	+	+	+	+	
46	პროდუქტის დიზაინის სტუდია I	+	+	+	+	+	
47	ტრანსპორტის დიზაინის სტუდია I	+	+	+		+	
48	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის სტუდია I	+	+	+	+	+	+
49	ფოტოგრაფია დიზაინისთვის	+	+			+	
50	ერგონომიკა დიზაინისთვის	+	+	+	+	+	+
51	პორტფოლიო და პრეზენტაციის უნარები	+	+	+	+	+	+
52	ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება	+	+	+			+
53	ინტერდისციპლინარული პროექტი	+	+			+	
54	გაფართოებული CAD სტუდია ინტერიერისა და პროდუქტის დიზაინისათვის	+	+	+			
55	ანიმაციის სტუდია	+	+	+		+	
56	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	+	+	+	+	+	
57	პროდუქტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	+		+	+	+	
58	ტრანსპორტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	+	+	+	+	+	
59	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	+	+	+	+	+	+
60	საკონკურსო პროექტი	+	+	+	+		
61	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის	+	+	+	+		
62	პროდუქტის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის	+	+	+	+	+	
63	ტრანსპორტის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის	+	+	+	+	+	
64	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის	+	+	+	+	+	+
65	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	+	+	+	+	+	
66	პროდუქტის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	+	+	+	+	+	
67	ტრანსპორტის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	+	+	+	+	+	
68	ვიზუალური კომუნიკაციების გამოსაშვები სტუდია	+	+	+	+	+	+
69	ანთროპოლოგია დიზაინში	+	+	+	+		+
70	მდგრადი დიზაინის მეთოდოლოგია	+	+	+	+	+	+
71	მობილური აპლიკაციების შექმნა	+	+	+		+	
72	წარმოების ტექნოლოგიები	+	+	+		+	
73	შესავალი კომპიუტერულ პროგრამირებაში	+	+			+	
74	დიზაინი და მდგრადობა	+	+	+	+	+	+
75	მენარმეობა	+	+	+	+	+	+
76	გამოყენებითი პროექტი	+		+	+	+	
77	კომპიუტერული თამაშების დიზაინი	+	+	+		+	
78	ერგონომიული დიზაინის მეთოდოლოგია	+	+	+		+	
79	სატრანსპორტო ინჟინერიის საფუძვლები	+	+			+	
80	ბიზნეს მათემატიკის ელემენტები	+	+	+		+	
81	გალრმავებული მოძრავი გრაფიკა	+	+	+			
82	ქალაქი და უსაფრთხოება	+	+	+			

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი\ საათი	ს ა ა თ ი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუამდგომელი გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	ART30809E1-LS	ხელოვნების დროში	5/125	15	30						1	1	78
2	HEL30609E1-LS	ფილოსოფია და ცნობიერება	4/100	15	15						1	1	68
3	ART30609E1-P	ხატვა დიზაინისთვის	5/125			105					2	2	16
4	MAS30508E1-LP	წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია	5/125	15	30						1	1	78
5	PHS54308E1-LB	ზოგადი ფიზიკა	5/125	15			30				1	1	78
6	EET78509E2-LP	ხაზვა	4/100	15	15						1	1	68
7	LEH11112E3-P	უცხოური ენა (რუსული) – A 1.1	5/125			45					1	1	78
8	LEH19809E2-LP	უცხოური ენა (იტალიური)-A 1.1	5/125	15	30						1	1	78
9	LEH10712E3-P	უცხოური ენა (გერმანული) - A 1.1	5/125			45					1	1	78
10	LEH11512E3-P	უცხოური ენა (ფრანგული)-A 1.1	5/125			45					1	1	78
11	HHS28403E1-LP	დიზაინი და შრომის უსაფრთხოება	3/75	15	15						1	1	43
12	ART21509E1-LS	საზოგადოება და დიზაინი	4/100	15	15						1	1	68
13	MAS30608E1-LP	კალკულუსისა და მათემატიკური სტატისტიკის შესავალი	5/125	15	30						1	1	78
14	ART10109E1-LSK	გრაფიკის და ტიპოგრაფიკის სტუდია	5/125	15	15				15		1	1	78
15	ART30709E1-P	სწრაფი ვიზუალიზაცია	4/100			75					2	2	21
16	EET78609E2-LP	მოდელირება და პერსპექტივა	7/175	15	45						1	1	113
17	LEH11212E3-P	უცხოური ენა (რუსული) – A1.2	5/125			45					1	1	78
18	LEH19909E2-LP	უცხოური ენა	5/125	15	30						1	1	78

№	საგნის კოდი	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი\საათი	ს ა ა თ ი										
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა		
		(იტალიური)-A1.2												
19	LEH10812E3-P	უცხოური ენა (გერმანული) - A1.2	5/125			45					1	1	78	
20	LEH11612E3-P	უცხოური ენა (ფრანგული)-A1.2	5/125			45					1	1	78	
21	ICT43109E1-LK	CAD სტუდია	5/125	15					30		1	1	78	
22	ART21709E1-LK	დიზაინის სტუდია I	10/250	15					105		1	1	128	
23	ART11909E1-LS	ერგონომიკის შესავალი	5/125	15	30						1	1	78	
24	MAP20309E1-SK	მასალები და დიზაინი	5/125		15				30		1	1	78	
25	LEH11312E3-P	უცხოური ენა (რუსული) – A2.1	5/125			45					1	1	78	
26	LEH10109E3-LP	უცხოური ენა (იტალიური)-A2.1	5/125	15		30					1	1	78	
27	LEH10912E3-P	უცხოური ენა (გერმანული) - A2.1	5/125			45					1	1	78	
28	LEH11712E3-P	უცხოური ენა (ფრანგული)-A2.1	5/125			45					1	1	78	
29	ART21809E1-LK	დიზაინის სტუდია II	10/250	15					105		1	1	128	
30	ICT43209E1-LK	3D ვიზუალიზაცია	5/125	15					30		1	1	78	
31	SOS41209E1-LS	სოციალურ მეცნიერებათა პრინციპები	5/125	15	30						1	1	78	
32	ART10209E1-SP	შესავალი ფოტოგრაფიაში და ვიდეოგრაფიაში	5/125		15	30					1	1	78	
33	LEH11412E3-P	უცხოური ენა (რუსული) – A2.2	5/125			45					1	1	78	
34	LEH10209E3-LP	უცხოური ენა (იტალიური)-A2.2	5/125	15		30					1	1	78	
35	LEH11012E3-P	უცხოური ენა (გერმანული) - A2.2	5/125			45					1	1	78	
36	LEH11812E3-P	უცხოური ენა (ფრანგული)-A2.2	5/125			45					1	1	78	
37	ICT43309E1-P	გრაფიკული რედაქტირება	3/75			30					1	1	43	

№	საგნის კოდი	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი\საათი	ს ა ა თ ი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
38	BUA53713E1-LS	მარკეტინგის საფუძვლები	4/100	15	15					1	1	68
39	EET50810E1-LP	საინჟინრო მექანიკა	4/100	15		15				1	1	75
40	ART11709E1-LS	დიზაინმცოდნეობა	3/75	15	15					1	1	43
41	ICT33909E1-PK	ვებ დიზაინი და პროგრამირება	5/125			30			15	1	1	78
42	ICT43409E1-LK	3D ვიზუალიზაცია ინტერიერისა პროდუქტის დიზაინისათვის	5/125	15					30	1	1	78
43	SOS30909E1-LS	გარემოს ფსიქოლოგია	3/75	15	15					1	1	43
44	SOS41309E1-LS	კულტურული მიდგომები დიზაინისადმი	3/75	15	15					1	1	43
45	AAC70709E1-PK	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის სტუდია I	8/200			60			30	1	2	107
46	ART20609E1-PK	პროდუქტის დიზაინის სტუდია I	8/200			60			30	1	2	107
47	ART20709E1-PK	ტრანსპორტის დიზაინის სტუდია I	8/200			60			30	1	2	107
48	ART10309E1-PK	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის სტუდია I	8/200			45			45	1	2	107
49	ART10409E1-P	ფოტოგრაფია დიზაინისთვის	3/75			30				1	1	43
50	ART10509E1-LS	ერგონომიკა დიზაინისთვის	5/125	15	30					1	1	78
51	BUA53209E1-LS	პორტფოლიო და პრეზენტაციის უნარები	3/75	15	15					1	1	43
52	ART40109E1-PKR	ხის დამუშავება და ავეჯის დამზადება	5/125			15		15	15	1	1	78
53	ART10609E1-K	ინტერდისციპლინარული პროექტი	5/125						45	1	1	78
54	ICT52409E1-LK	გათვართოებელი CAD	5/125	15					30	1	1	78

№	საგნის კოდი	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი\საათი	ს ა ა თ ი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
		სტუდია ინტერიერისა და პროდუქტის დიზაინისათვის											
55	ICT52509E1-LPK	ანიმაციის სტუდია	5/125	15		15				15	1	1	78
56	ART11809E1-PK	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	8/200			60				30	1	2	107
57	ART21609E1-PK	პროდუქტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	8/200			60				30	1	2	107
58	ART20809E1-PK	ტრანსპორტის დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	8/200			60				30	1	2	107
59	ART10709E1-LPK	ვიზუალური კომუნიკაციების დიზაინის მომხმარებელზე ორიენტირებული სტუდია	8/200	15		30				45	1	2	107
60	ART10809E1-K	საკონკურსო პროექტი	5/125							45	1	2	77
61	ART10909E1-PK	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის	10/250			90				30	1	2	127
62	ART20909E1-PK	პროდუქტის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის	10/250			90				30	1	2	127
63	ART21009E1-PK	ტრანსპორტის დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის	10/250			90				30	1	2	127
64	ART11009E1-LPK	ვიზუალური კომუნიკაციების	10/250	15		45				60	1	2	127

№	საგნის კოდი	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი \ საათი	ს ა ა თ ი										
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა		
		დიზაინი მდგრადობის სტუდიისთვის												
65	ART11109E1-PK	ინტერიერისა და ავეჯის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	10/250			90				30	1	2	127	
66	ART21109E1-PK	პროდუქტის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	10/250			90				30	1	2	127	
67	ART21209E1-PK	ტრანსპორტის დიზაინის გამოსაშვები სტუდია	10/250			90				30	1	2	127	
68	ART11209E1-K	ვიზუალური კომუნიკაციების გამოსაშვები სტუდია	10/250							120	1	2	127	
69	SOS41409E1-LS	ანთროპოლოგია დიზაინში	5/125	15	30						1	1	78	
70	ENV10309E1-LS	მდგრადი დიზაინის მეთოდოლოგია	5/125	15	30						1	1	78	
71	ICT34009E1-K	მობილური აპლიკაციების შექმნა	5/125							45	1	1	78	
72	MAP25110E1-LP	წარმოების ტექნოლოგიები	5/125	15		30					1	1	78	
73	ICT13809E2-LP	შესავალი კომპიუტერულ პროგრამირებაში	5/125	15		30					1	1	78	
74	ENV10409E1-LS	დიზაინი და მდგრადობა	5/125	15	30						1	1	78	
75	BUA48413E1-LSP	მენარმეობა	5/125	15	15	15					1	1	78	
76	ART11309E1-K	გამოყენებითი პროექტი	5/125							45	1	1	78	
77	ICT13709E2-SP	კომპიუტერული თამაშების დიზაინი	5/125		15	30					1	1	78	
78	ART11409E1-LS	ერგონომიული დიზაინის მეთოდოლოგია	5/125	15	30						1	1	78	
79	EET77105E2-LS	სატრანსპორტო ინჟინერიის	5/125	15	30						1	1	78	

№	საგნის კოდი	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი\საათი	ს ა ა თ ი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუსემსტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
		საფუძვლები											
80	MAS30708E1-LP	ბიზნეს მათემატიკის ელემენტები	5/125	15	30						1	1	78
81	ICT43509E1-K	გალრმაგებული მოძრავი გრაფიკა	5/125						45		1	1	78
82	SES21909E1-LS	უსაფრთხოება და ეხლაეფი	5/125	15	30						1	1	78

პროგრამის ხელმძღვანელი

ნიკოლოზ შავიშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

არჩილ ფრანგიშვილი